



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 33
31/08/2020

33-0-4-202008311213



მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ ნუკრიანში მდებარე უძრავი ქონების (ყოფილი კულტურის სახლი, ს/კ №56.13.42.002) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე, 121-ე მუხლების, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 26 აგვისტოს N 05/2787 წერილის საფუძველზე სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. გადაეცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ ნუკრიანში მდებარე უძრავი ქონება (ყოფილი კულტურის სახლი, ს/კ №56.13.42.002) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ, შემდგომში სსიპ „იუსტიციის სახლისათვის“ უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის მიზნით.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 მარტის #10 განკარგულება „საპრივატიზებო ობიექტის ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“.
3. დაევალოს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გოგილაშვილს ამ განკარგულების მოქმედი კანონმდებლობით შესრულება.
4. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების გადაგზავნა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიაში.
5. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
6. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი ც. დადიანის ქ. №15) განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ილია ხატიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

